ჩინეთი – აღმოსავლეთის დრაკონი, რომლისაც არ გვესმის

ავტორი ლევან ალფაიძე

ჩანაწერები საზოგადოებრივი გეოგრაფიის გაკვეთილებისთვის

(სტატია მომზადებულია ორიენტალისტების, პროფესორების ა. მასლოვის, ა. კარნეევის, ტ. რუსკოლას და ჯ. ვასსერსტრომის ლექციების მიხედვით)

ევროპელები დიდი ხნის განმავლობაში ჩინეთს ჩამორჩენილ სახელმწიფოდ აღიქვამდნენ, მაგრამ დღეს დასავლეთი იძულებულია, აღიაროს ჩინეთის ძლიერება, გავლენა და უპირატესობა ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროებში. დღევანდელი ჩინეთი, უფრო ზუსტად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ამას დასავლეთის მოძველებული შეფასებები და წარმოდგენები გვისახავდა.

ცისქვეშეთის (ჩინეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ალტენატიული სახელი, ლ.ა.) სტაბილურობისა და ძზარდი ეკონომიკის მიზეზს ერთნი დემოგრაფიულ ფაქტორს მიაწერენ. მეორენი შეთქმულების თეორიებით ცდილობენ ჩინეთის ძლიერების ახსნას, მესამეთ კი მიაჩნიათ, რომ ჩინეთის განვითარება მისი მისტიკური კულტურით არის განპირობებული. ქვემოთ შევეცდებით იმ ფაქტორების წარმოჩენას, რომლებიც ყოველთვის იყო დამახასიათებელი აღმოსავლეთის ამ უნიკალური ქვეყნისთვის. ცნობილი რუსი სინოლოგის, პროფესორ მასლოვის სიტყვებით, „ყველა პასუხი, რომელიც ქვეყნის მომავალს შეეხება, მის წარსულში უნდა ვეძებოთ“.

„თუ ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში სხვის კიბეზე ადიოდა,

საკუთარის საპოვნელად ქვემოთ უნდა ჩამოვიდეს“.

ლაო ძი (ძვ. წ. VI-V ს.ს. ჩინელი ფილოსოფოსი, დაოსიზმის ფუძემდებელი)

ადამიანს შეიძლება სხვადასხვანაირი სიზმარი დაესიზმროს – შავბნელი და ინფერნალური ან ნათელი და სიხარულით აღსავსე. დღეს ვისაუბრებთ შავბნელ სიზმარზე. უფრო ზუსტად, ევროპის (და ამერიკის) შავბნელ სიზმარზე – ჩინეთზე, თუმცა შევეცდებით, ამ სიზმრის მოსაყოლად ნათელი გზა და ჰაეროვანი სტილი ავირჩიოთ. სტატიის სათაურის მიხედვით შეიძლება ივარაუდოთ, რომ ჩინეთმა, რომელსაც დასავლეთი ხშირად აღმოსავლეთის დრაკონს ეძახის, მსოფლიოში არსებულ წესრიგს (ეკონომიკურს, პოლიტიკურს, იდეოლოგიურს) დღემდე შეუდარებელი და არნახული გამოწვევა შესთავაზა. დიახ, ასეა: ჩინეთმა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა (ტერიტორიით მესამე და მოსახლეობით პირველი) მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში (ევროკავშირი, აშშ, კანადა, იაპონია, სამხრეთი კორეა) შიში და ხიფათის შეგრძნება გააჩინა. ალბათ ყველას გაგიგონიათ და წაგიკითხავთ შიშნარევი სათაურები სხვადასხვა ჯურის მედიაში: „ჩინეთი იტალიის სამხრეთის პორტებს ყიდულობს“, „ჩინეთმა ლათინური ამერიკისა და აფრიკის საბადოები შეიძინა“, „ჩინელები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დემოგრაფიულ ექსპანსიას ეწევიან“ და მსგავსი. ხშირად ეს ინფორმაცია გაზვიადებულია, ზედმეტად გაბერილი და ჩინეთის უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას ემსახურება, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ჩინეთი არ ჩანს ან პასიურია მსოფლიო

ბაზარზე, ან მას ანგარიშს არ უწევენ. დიახ, ყველაფერი ისე მიდის, რომ რამდენიმე წელიწადში, ჩინეთმა შეიძლება უკან ჩამოიტოვოს დღევანდელი დემოკრატიული სამყაროს ერთპიროვნული ლიდერი, ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მეორედან მესამე ადგილზე გადააბრძანა მსოფლიოს მასშტაბით მეორე ეკონომიკა – იაპონია. თუმცა დღეს ამაზე არ ვისაუბრებთ. ეს სტატია არ იქნება დღევანდელი ჩინეთის შესახებ, მაგრამ ყველაფერი, რასაც დღეს ჩინეთზე მოვყვებით, მეტ-ნაკლებად დაკავშირებული იქნება დღევანდელ დღესთან.

ჩვენ შევეცდებით ვისაუბროთ ჩინეთზე, რომელიც დღეს ყურადღების ცენტრშია, რომელსაც ყველა ყურადღებით აკვირდება, რომლისაც ყველას ასე თუ ისე ეშინია და რომლისაც თითქმის არავის ესმის. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ჩინეთისადმი სიფრთხილე და შიში უმეტესად გამოწვეულია არა მისი განვითარების ტემპებით ან მასშტაბებით, არამედ იმ გაუგებრობით, რომელიც ჩინური იდეის, ცივილიზაციისა და კულტურის მიმართ არსებობს.

დღეს თითქმის არავის, სინოლოგების ჩათვლით, არ შეუძლია ბოლომდე გაიგოს ან გათვალოს ჩინეთის განვითარების ლოგიკა. გონებაში ყველას ერთი კითხვა უტრიალებს: „რა იქნება მომავალ 15-20 წელიწადში, როდესაც ჩინეთი დაიწყებს (ან არ დაიწყებს!) ევროპაში, რუსეთში, შუა აზიაში თუ მსოფლიოს სხვა ნაწილებში ექსპანსიას?“ ეს, ალბათ დღევანდელობის ერთ-ერთი მთავარი კითხვაა, რადგან ყველა ჩვენნაგანი ხედავს მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს, როგორებიცაა ევროპაში არაევროპელი მოსახლეობის წილის ზრდა, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დაბერება, მსოფლიო ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია, არაბული მოსახლეობის მატება საფრანგეთში, თურქებისა – გერმანიაში, ჩინური საშუალო სკოლების რაოდენობის ზრდა ბრიტანეთში და სხვა. სახეზეა მსოფლიოს მდიდარი ქვეყნების დემოგრაფიული შემადგენლობის შესამჩნევი ცვლის პროცესი. ჩვენ თვალწინ იცვლება ის, რასაც კულტურულ კომპონენტს ან ევროპელთა (ამერიკელთა, რუსთა და სხვა) თვითშეგნებას ვუწიდებთ. ჩვენ, საქართველო, აღმოსავლეთი ევროპის ან, სხვაგვარად, ჩრდილო-დასავლეთი აზიის ან, უფრო ზუსტად, სამხრეთი კავკასიის ნაწილი ვართ და ჩვენი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების, ევროპელებისა და ამერიკელების აღქმით, ჩინეთი ყოველთვის იყო დიდი ისტორიის, კულტურისა და სიბრძნის მქონე, თუმცა მაინც ჩამორჩენილი და ღარიბი სახელმწიფო. ამ დროს, ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებში ყველამ დავინახეთ, რომ ჩინეთი, მისი ყველა კომპონენტითა და მაჩვენებლით, ნელ-ნელა მსოფლიოს ლიდერი და მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე ხდება.